ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 09 09 2019 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №306-ნ

ქ. თ ბ ი ლ ი ს ი

რექტორის 2019 წლის 30 ივლისის N282-ს ბრძანებაში „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2019 - 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის ვაკანსიებისა და პროცესის ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება რექტორის 2019 წლის 30 ივლისის N282-ს ბრძანებაში „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2019 - 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის ვაკანსიებისა და პროცესის ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ“ და ბრძანების მე-2 პუნქტის დანართი N2 - შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირების ვადების განსაძღვრის თაობაზე, ჩამიყალიბდეს ახალი - ამ ბრძანების დანართის (N2) შესაბამისი რედაქციით.

2. დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

3. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების დეკანატებს, ენების ცენტრს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

დანართი N2

2019 - 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირების ვადები:

ა) შიდა მობილობის განხორციელების მსურველთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) - 2019 წლის 29 აგვისტო - 18 სექტემბერი;

ბ) კრედიტების აღიარების კომისიის მუშაობა და დასკვნების მომზადება - 2019 წლის 2 – 19 სექტემბერი;

გ) სტუდენტების ინფორმირება აღიარებული კრედიტების თაობაზე და მათი თანხმობის/უარის წერილობითი დადასტურება - 2019 წლის 3 – 19 სექტემბერიი;

დ) დეკანატებისა და აღიარების კომისიების მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა მობილობის ფარგლებში მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მოსამზადებლად - 2019 წლის 20 სექტემბერი,

ე) შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების/ბრძანებების პროექტის/პროექტების მომზადება და გამოცემა - 2019 წლის 23 სექტემბერი.